საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა

მინისტრის ბრძანება №901

2009 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და შედგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №1) და შედგენის თანდართული წესი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

ხ. კალმახელიძე

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და შედგენის წესი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის სამართლებრივ მექანიზმებს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №42 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

მუხლი 2.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ოფიცრის (შემდგომში – პრობაციის ოფიცერი) მიერ ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულის მიერ დარღვეულია „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეჟიმი.

მუხლი 3

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა იმავდროულად წარმოადგენს საჯარიმო ქვითარს და შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) ნაწილი I – ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე;

ბ) ნაწილი II – საჯარიმო ქვითარი.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა შეიცავს ბეჭდის ადგილებს. იმ ადგილებს, რომელიც თანაბრად ფარავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ორივე ნაწილს, ბეჭედი დაისმება პრობაციის ეროვნული სააგენტოს იმ თანამშრომლის მიერ, რომელიც აწარმოებს მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემას, ხოლო დანარჩენ ადგილზე ბეჭედი დაისმება საბანკო დაწესებულების მიერ.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი ეგზემპლარი რჩება პრობაციის ოფიცერთან, ხოლო მეორე – გადაეცემა მსჯავრდებულს პირადად ან ეგზავნება ფოსტით (ფოსტით გაგზავნისას კეთდება სათანადო ჩანაწერი.)

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულის მიერ დარღვეულია კანონით დადგენილი რეჟიმი, რომლის

საფუძველზეც მას შეიძლება შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: მისი შედგენის ადგილი და თარიღი; შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პიროვნების შესახებ; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ახსნა-განმარტება; ოქმის გასაჩივრების წესი და ვადა; საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

მუხლი 4.

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) ექსკლუზიურ ნუმერაციას (არანაკლებ 6 ციფრი);

ბ) დამცავ საკონტროლო ნიშანს;

გ) ხაზის ნაცვლად გამოყენებულია მიკროტექსტი, სადაც იკითხება: „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბოლო გვერდის უკანა მარჯვენა კუთხეში დაიტანება ოქმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს, დამკვეთის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით, რეგისტრაციის ნომერი.

3. ოქმი ივსება ლურჯი ან შავბურთულიანი კალმით. ოქმის ყველა ჩანაწერი სრულდება გარკვევით. დაუშვებელია ოქმის გადახაზვა, გადაშლა, გადაფხეკა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემის შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. დაზიანებული ან არასწორად შევსებული ოქმი ჩამოიწერება დადგენილი წესით.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს პრობაციის ოფიცერი და სამართალდამრღვევი. სამართალდამარღვევის მიერ ხელისმოწერაზე უარის შემთხვევაში ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 5.

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირველ ნაწილს ავსებს პრობაციის ოფიცერი.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირველი ნაწილის

ა) პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები მოიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თარიღს (რიცხვი, თვე,წელი), ადგილს, ოქმის შემდგენის თანამდებობას და სახელსა და გვარს.

ა) მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მონაცემებში შეიტანება დამრღვევის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია ნომერი ან პირადი ნომერი.

ბ) მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები მოიცავს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის დროს და არსს, აგრეთვე „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის მუხლს, ჯარიმის ოდენობის მითითებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ახსნა განმარტებას და საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის II ნაწილი ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანი პირის მიერ ამავე ოქმის პირველი ნაწილის შესაბამისად.

დანართი №1

ნაწილი I

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

№000000

1. _____ 2. _____

შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) შედგენის ადგილი

3. _____

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი

4. დამრღვევის ა)_____ ბ) _____ გ) _____

სახელი და გვარი დაბადების თარიღი მისამართი

დ) _____
პირად. დამ. დოკ. სერია და N ან პირადი N
5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი
_____
_____
_____
_____

6. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი—— პუნქტი _____ქვეპუნქტი _____

7. ჯარიმის ოდენობა _____ ლარი
სიტყვიერად

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ახსნა-განმარტება:
_____

9. საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები

_____ სამართალდამრღვევი _____
ოქმის შემდგენლის ხელმოწერა ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

ნაწილი II

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის

საჯარიმო ქვითარი

№000000

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში

1. _____
გადამხდელის სახელი და გვარი

2. _____
გადამხდელის მისამართი

3. _____
ჯარიმის ოდენობა სიტყვიერად, ციფრებით

4. საქართველოს კანონი "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ":_____
მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

5. _____
სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

6. საბანკო კოდი _____

7. სახაზინო კოდი _____

8. მიმღები მოლარე _____
ხელმოწერა

9. შემომტანი ——————————
ხელმოწერა

თარიღი ————————————————
რიცხვი, თვე, წელი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-6, მე-7 და მე-13 მუხლის მე-4, მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობები:

მსჯავრდებული უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს იგი პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსთან, რომელიც საკითხს იხილავს და წყვეტს 15 სამუშაო დღის ვადაში. მსჯავრდებული ვალდებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცნობიდან 30 დღის ვადაში გადაიხადოს მისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ჯარიმის გადახდის იძულებითი აღსრულება ხორციელდება ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რის თაობაზეც დადგენილებას გამოსცემს და ჯარიმის გადახდის იძულებით აღსასრულებლად მიქცევას ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსი.

ჯარიმის გადახდის იძულებით აღსრულებას პრობაციის ბიუროს უფროსის დადგენილების საფუძველზე ახორციელებს აღმასრულებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მსჯავრდებულს აგრეთვე უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული გადაწყვეტილება

დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს რეგისტრაციის №